ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ლელა საჯაიას

ა ნ გ ა რ ი შ ი

16.04.2015 წ.-დან 16.05.2015-მდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია ახორციელებს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებას.

კომისია საქმიანობას წარმართავს 2015 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საკრებულოს ბიუროს მიერ 2015 წლის 31 იანვარს.

ზემოაღნიშნულ პერიოდში კომისიამ მოიწვია სამი სხდომა, რომლებზეც განიხილა საკითხები:

1. კულტურის სტრატეგიის შემუშავების პროცესი საქართველოში.
   რეგიონების როლისა და ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ საქართველოს კულტურის სტრატეგიის შემუშავების პროცესში. კულტურის მნიშვნელობა რეგიონული განვითარებისათვის.
   მომხს: ლ.საჯაია

2. ვაშნარის პრობლემის განხილვა;
   მომხს: ლ.საჯაია

3. სოციალური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის განხილვა;
   მომხს: ლ.საჯაია

4. მოქალაქეთა წერილების განხილვა;
   მომხს: ლ.საჯაია

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსის ანგარიშის განხილვა.
   მომხს: მ.ცელაძე

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურისუფროსის ანგარიშის განხილვა.
   მომხს: ნ. ხომერიკი

აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის შესაფასებლად კომისია მუდმივად ინარჩუნებს კავშირს მოქალაქეებთან და ახორციელებს მოქალაქეთა პერიოდულ მიღებას. მოქალაქეთა მიერ შემოსული წერილები განიხილება კომისიის სხდომაზე და ეგზავნება აღმასრულებელ ხელისუფლების შესაბამის სამსახურებს, რომელთა მხრიდან გვაქვს დაუყონებლივი გამოხმაურება შესაბამის საკითხებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი ღურჯუმელიძის და მაიზერ ცელაძის დამოკიდებულება სოციალური საკითხების გადაწყვეტის პროცესის მიმართ. ისინი მთელი გულისყურით ოპერატიულად ეხმაურებიან ყველა საკითხს.

30 აპრილს ძალიან საინტერესოდ წარიმართა მუნიციპალიტატის საკრებულოს ინიციატივით მოწვეული ,,ღია კარის დღე". სადაც დარეგისტრირებული 59 ადამიანიდან 40-მა შეძლო თავის პრობლემებზე საუბარი. მათი პრობლემები ჩანიშნულია და შესწავლის პროცესშია. კონკრეტულად ჩვენი კომისია განიხილავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული მოქალაქეების განცხადებებს სოციალური შემწეობის შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით. მოქალაქეები: ნაზიბროლა დობორჯგინიძე, მცხოვრები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში /პირადი ნომერი 61001027954/, ნატო გოგუაძე, მცხოვრები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში /პირადი

ნომერი 33001055431/ და რუსუდან იოსელიანი, მცხოვრები ოზურგეთისმუნიციპალიტეტის სოფელ ნაგომარში /პირადი ნომერი 33001056963/, თვლიან, რომ მათ არასწორად მიენიჭებული ქულების გამო შეუწყდათ სოციალური დახმარება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიისაგან ითხოვენ დახმარებას. საკითხის შესწავლის მიზნით მივმართეთ სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ქალბატონ მარიკა თავართქილაძეს,სასწრაფოდ მოგვაწოდონ ინფორმაცია აღნიშნული მოქალაქეების მიმართ.

გვქონდა გასვლითი შეხვედრა სოფელ დვაბზუში, სადაც მოქალაქეებს ვესაუბრეთ ,,ქართული ოცნების“ მიერ განხორცეელებულ პროექტებზე, იმ სირთულეებზე, რომლებიც ეკონომიკური თვალსაზრისით გააჩნია ქვეყანას. ვფიქრობ, მსგავსი შეხვედრები აუცილებელია. მოსახლეობამ არც კი იცის იმ საკითხების შესახებ, რასაც ხელისუფლება ახორციელებს. ძალიან სამწუხარო ფაქტია, რომ პრესა და სხვა მასმედიის საშიუალებები ძალიან ტენდენციურები გახდნენ და მხოლოდ სკანდალებზე არიან ორიენტირებული. აქედან გამომდინარე ჩვენი გააქტიურება აუცილებელია, რადგან გარკვეულმა ძალებმა ჩვენს მოქალაქეებში ნიჰილიზმი და იმედგაცრუება არ დანერგონ. პირადად მე მოქალაქეებთან წარვადგინე ინფორმაცია, რომელიც მოიცავს მასალებს განხორციელებული პროექტების შესახებ 2012 წლის არჩევნებიდან დღემდე:

- ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას;
- შეიქმნა თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემო;
- განხორციელდა თვითმმართველობის რეფორმა;
- ამოქმედდა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები;
- შეწყდა პოლიტიკური მოტივით მოქალაქეთა დევნა;
- განადგურდა უკანონოდ მოპოვებული პირადი ცხოვრების ამსახველი მასალა;
- შეწყდა პატიმრების მიმართ არაადამიანური მოპყრობა და წამება;
- პოლიტიკური წნეხისგან გათავისუფლდა მედია, სასამართლო, პროკურატურა, ბიზნესი;
- დღეს დაზღვეულია საქართველოს ყველა მოქალაქე;
- დასრულდა 84 ახალი ამბულატორიის მშენებლობა;
- დაიწყო უპრეცედენტო პროგრამა – C ჰეპატიტის ელიმინაცია.
- სოლიდარობის ფონდის მეშვეობით ონკოლოგიური დაავადების მქონე 77 ბავშვის მკურნალობა დაფინანსდა;
- საცხოვრებლით უზრუნველყოფილია 29 479 დევნილი ოჯახი;
- სოციალური პაკეტის ფარგლებში 46 500 დევნილ ოჯახს გაეწია 15 მილიონი ლარის დახმარება;
- საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფილია 90 ეკომიგრანტი ოჯახი, 1 200 ეკომიგრანტს უკანონდება საცხოვრებელი სახლი;
- მოსწავლეებმა უფასო სახელმძღვანელოების მილიონ თექვსმეტი ათას შვიდასი კომპლექტი მიიღეს;
- უფასო სასკოლო ტრანსპორტი ემსახურება 52 000-ზე მეტ მოსწავლეს;
- უმაღლესი განათლების 21 სპეციალობა გახდა უფასო;
- გაიზარდა სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობა.
- აშენდა 8 ახალი სკოლა, შენდება 9 ახალი სკოლა;
- 2013 წელს საქართველოში დაფიქსირდა ეკონომიკის 3,3%-იანი ზრდა, ხოლო 2014 წელს – 4.8%.
- 2014 წელს, 2012 წელთან შედარებით, ექსპორტი გაიზარდა 20,5%-ით, ევროკავშირთან – 76%-ით, რუსეთთან – დაახლოებით 6-ჯერ (487,5%-ით).
- 2014 წელს 2011 წელთან შედარებით, შემოვიდა 13,9 %-ით მეტი ინვესტიცია,
- დაიწყო მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამა;
- პირველად, საქართველოს სამთო კურორტების ისტორიაში მოხდა სათხილამურო ტრასების ხელოვნური გათოვლიანება გუდაურსა და ბაკურიანში;
- იწყება პროექტის ,,მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი ყველას“ სამუშოები;
- თბილისთან ახლოს შენდება ტექნოლოგიური პარკი;
- ჩინეთსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას ,,ახალი აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის“ განვითარებისთვის თანამშრომლობის შესახებ;
- მნიშვნელოვანია ანაკლიაში ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობა;
- აქტიურად ხორციელდება ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა;

- დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად კახეთის რეგიონში (81 წერტილში) მიმდინარეობს სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარების მონტაჟი;
- გაკეთდა 55.4 კმ ახალი გზა და აშენდა 20 ახალი ხიდი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 600 კმ გზას და 87 ხიდს;
- მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო პროგრამის ფარგლებში გლეხებმა უსასყიდლოდ მიიღეს 107 მილიონ 605 ათას 506 ლარის ღირებულების სასუქი, 47 მილიონ 835 ათას 368 ლარის ღირებულების შხამქიმიკატები, 8 მილიონ 579 ათას 187 ლარის ღირებულების თესლი, 53 მილიონ 704 ათას 193 ლარის ღირებულების ინვენტარი, 232 ათას 486 ლარის ღირებულების ვეტერინარული პრეპარატები;
- მოიხნა 427 ათას 765 ჰექტარი მიწის ფართობი;
- დაფინანსდა 119 ახალი საწარმო, 600-ზე მეტი საწარმო გაფართოებულია. მთლიანობაში გაცემულია 22 ათასზე მეტი სესხი, რომელთა ღირებულება 800 მილიონ ლარზე მეტია;
- ბოლო ორი წლის განმავლობაში ინდივიდუალურად ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელში დაახლოებით 110 ათასი აბონენტი ჩაერთო და 88 ათასამდე ოჯახი გაზიფიცირდა;
- ელექტროფიცირდა 22 უშუქო სოფელი და უახლოეს მომავალში დასრულდება კიდევ 6 დასახლებული პუნქტის ელექტრიფიცირების სამუშაოები;
- დაიწყო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია, მათ შორისაა, მუცო, დართლო, ჩაჟაში, ვარძია;
- კულტურული მემკვიდრეობების 19 ძეგლს ჩაუტარდა მასშტაბური სარეაბილიტაციო და საკონსერვაციო სამუშაოები;
- საერთაშორისო მისიებში დაღუპული სამხედრო ოჯახების ერთჯერადი კომპენსაცია გახდა 100 ათასი ლარი;
- შემუშავდა და პარლამენტში გადაიგზავნა 200-მდე კანონპროექტი, მათ შორის – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის ძალითაც არასრულწლოვანთათვის საქართველოში ინოვაციური სპეციალიზებული მართლმსაჯულების სისტემა ყალიბდება;
- სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა სასჯელაღსრულების 3 დაწესებულებას, გაიხსნა 3 საზოგადოებრივი მისაღები;
- გაიხსნა 80 საწოლზე გათვლილი განახლებული და თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი სასჯელაღსრულების ცენტრალური საავადმყოფო, რომელშიც, ასევე, ფუნქციონირებს 57-ადგილიანი საცხოვრებელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრებისათვის;
- პოლიცია აღარ არის პოლიტიზებული. სამინისტრო ინარჩუნებს დეპოლიტიზების აღებულ კურსს, პოლიცია აღარ ახორციელებს პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედებას და თავის საქმიანობას წარმართავს კანონის, დემოკრატიული სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვით;
- რეაბილიტაცია ჩაუტარდა 600 კმ გზას და 87 ხიდს;
- მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო პროგრამის ფარგლებში გლეხებმა უსასყიდლოდ მიიღეს 107 მილიონ 605 ათას 506 ლარის ღირებულების სასუქი, 47 მილიონ 835 ათას 368 ლარის ღირებულების შხამქიმიკატები, 8 მილიონ 579 ათას 187 ლარის ღირებულების თესლი, 53 მილიონ 704 ათას 193 ლარის ღირებულების ინვენტარი, 232 ათას 486 ლარის ღირებულების ვეტერინარული პრეპარატები;
- მოიხნა 427 ათას 765 ჰექტარი მიწის ფართობი;
- დაფინანსდა 119 ახალი საწარმო, 600-ზე მეტი საწარმო გაფართოებულია. მთლიანობაში გაცემულია 22 ათასზე მეტი სესხი, რომელთა ღირებულება 800 მილიონ ლარზე მეტია;
- ბოლო ორი წლის განმავლობაში ინდივიდუალურად ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელში დაახლოებით 110 ათასი აბონენტი ჩაერთო და 88 ათასამდე ოჯახი გაზიფიცირდა;

მიმაჩნია, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობამც ასევე უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია შესრულებული სამუშაოს შესახებ არა მხოლოდ საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე, არამედ მოქალაქეებთან შეხვედრების დროს. ამ მხრივ უნდა გააქტიურდეს პრეს სამსახური. მართალია მუნიციპალიტეტის ვებ გვერდი დროულად აშუქებს ყველა დეტალს რაც მუნიციპალიტეტში ხდება, მაგრამ ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილს სრულად არ მიუწვდება ხელი ინტერნეტსივრცეზე და გაზეთის შეძენის არც საშუალება და არც სურვილი არა აქვს.

მ/წლის 7 მაისს ვმონაწილეობდით ქ. ოზურგეთის სპორტის სასახლეში გამართულ ღონისძიებაში, რომელიც გაიმართა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მონაწილეობით. ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა გურიის რეგიონალური ჩემპიონატი სპორტის 4 სახეობაში: ჭადრაკში, ნარდში, შაშსა და მკლავჭიდში. მასში მონაწილეობას გურიის ოთხივე მუნიციპალიტეტიდან იღებდნენ. გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებიც სხვადასხვა ორგანიზაციებმა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვეს. მესამე ადგილოსნებს შაშსა და მკლავჭიდში, ჩოხატაურელ ლალი ჩხიკვაძესა და ოზურგეთელ დავით ჯოჯუას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელით, სამახსოვრო პრიზები გადასცა. მანვე დააჯილდოვა ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე. ავღნიშნავ, რომ ფასიანი საჩუქრები ბიუროს წევრებმა, საკუთარი სახსრებით შეიძინეს.

8 მაისს ვმონაწილეობდით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის,სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის პროექტში ,,ერთი ნაბიჯი ზღვიდან მთამდე", რომელიც მუნიციპალიტეტის საკურორტო ზონების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი გამორჩეულია თავისი ლანდშაფტით, სადაც ზღვასა და მთაში დასვენება ერთდროულად არის შესაძლებელი.დაბა ურეკსა და გომისმთას ერთმანეთისაგან მხოლოდ 60 კილომეტრი აშორებს. ამ პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტმა, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელს გიორგი ჩოგოვაძესა და ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლებს უმასპინძლეს. საინფორმაციო ტური დაბა ურეკიდან დაიწყო და გომისმთაზე დასრულდა. სტუმრებმა ზღვის სანაპიროსა და 2350 მეტრ სიმაღლეზე ადგილობრივი ანსამბლების კონცერტი და ფოტოგამოფენა იხილეს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სტუმრებს გომისმთისა და ურეკის უნიკალური თვისებების შესახებ ინფორმაცია გააცნეს.

ურეკი გამორჩეულია მაგნიტური ქვიშით, რომელიც კურორტს საუკეთესო დასვენებისა და მკურნალობის თვისებებს ანიჭებს. გომისმთა წარმოადგენს საკურორტო ადგილს, რომელსაც გააჩნია მინერალური წყლები, ტყე, სამკურნალო კლიმატი და სხვა ბუნებრივი რესურსები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მკურნალობის,პროფილაქტიკისა და რეაბილიტაციის მიზნით. სამომავლოდ ,ტურიზმის განვიტარების მიზნით კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი ღონისძიებები იგეგმება, რომლებიც ურეკისა და გომისმთის ინფრასტრუქტურუად კეთილმოწყობასა და მათ პოპულარიზაციას გულისხმობს.პროექტებს წარმოგვიდგენს შესაბამისი სამსახურები და ჩვენ ერთად განვიხილავთ თითოეულ მათგანს.

9 მაისს მუნიციპალიტეტის გამგებელთან და გამგეობის სამსახურებთან ერთად ავღნიშნეთ ფაშიზმზე გამარჯვების დღესასწაული. შევხვდით ომის ვეტერანებს, გავუმასპინძლდით საზეიმო სადილით და დავაჯილდოვეთ საიუბილეო მედლებით.გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა, სპეციალურად ამ დღისთვის, ვეტერანებს 200 ლარიანი ფულადი პრემია გადასცა. დაჯილდოვების შემდეგ ვეტერანებთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ყვავილებით შევამკეთ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულების მემორიალი. ამ ადამიანების წინაშე თითოეულ ჩვენთაგანს დიდი ვალდებულება აკისრია და ჩვენი მოვალეობაა პირნათელი ვიყოთ მათი დამსახურების წინაშე.

14 მაისს კომისიის სხდომაზე მოვისმინეთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსის მაიზერ ცელაძის ანგარიში, რომელმაც წარმოადგინა დეტალური ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის, ანგარიში 2015 წლის 1 იანვრიდან 14 მაისის ჩათვლით.

1) სოციალური დაცვის განყოფილების 2015 წლის 1 იანვრიდან 14 მაისამდე ჩატარებული მუშაობის მოკლე მიმოხილვა. შემდეგი მუხლების მიხედვით:

ა. სამედიცინო მომსახურების პროგრამიდან, დახმარება დაეწია 728

მოქალაქეს, - 111 780 ლარის ოდენობით რაც საკმაოდ დიდი მონაცემია ამ მოკლე დროში, ვფიქრობ, რომ აღნიშნული საკითხი (სამედიცინო დახმარების შესახებ) საჭიროებს შემდგომი რეაგირებისათვის კომისიური განხილვას,

ბ. დევნილი მოსახლეობის პროგრამიდან, დახმარება 200 ლარის დენობით (საშეშე მერქნის შესაძენად) გაეწია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილ 7 ოჯახს სულ - 1400 ლარი.

გ. მრავალშვილიანი ოჯახთა დახმარების პროგრამიდან, დახმარება გაეწია 136 მრავალშვილიან (ოთხი და მეტი 18 წლამდე) ოჯახს. აქედან 90 მრავალშვილიან ოჯახს რომელთა სოციალური დახმარების ბაზაში სარეიტინგო ქულა შეადგენს 57001 დან 150000-მდე, ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე 25 ლარის ოდენობით, ხოლო 48 მრავალშვილიან ოჯახს, რომელთა სოციალური დახმარების ბაზაში სარეიტინგო ქულა შეადგენს 57001 - მდე წელიწადში 3 -ჯერ 100 ლარის ოდენობით.

სულ გახარჯულია 45 375 ლარი

დ. სტიქიური მოვლენების შედეგად და მძიმე საცხოვრებელ პირობებსჰი მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამიდან, დახმარება გაეწი 5 უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახს ერიცხებათ ყოველთვიურად საცხოვრებელი ფართის ქირა.

სულ გახარჯულია 500 ლარი.

ე. ვეტერანთა დახმარების პროგრამიდან, დახმარება გაეწია 200 ლარით მეორე მსოფლიო ომის მონაწელეებს სულ 24 მონაწილეს - 4 800 ლარის ოდენობით.

ვ. თირკმლის უკმარისობით დავადებულ პირთა დახმარების პროგრამიდან, დახმარება გაეწია 19 მოქალაქეს 250 ლარის ოდენობით სულ-4 750 ლარის ოდენობით.

ზ. ხანდაზმულთა დახმარების პროგრამიდან, დახმარება გაეწია 300 ლარის ოდენობით 3 მოქალაქეს.

ხოლო იმ 240 შეჭირვებულ ოჯახებს, რომლებმაც განცხადებით მომართეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას სამედიცინო მომსახურების, ოპერაციული მკურნალობისა და ძვირადღირებული მედიკამენტების შესაძენად და ვერ აკმაყოფილებდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულ სოციალური პროგრამებიდან გაცემის პირობებს, დახმარება გაეწიათ გამგებლის სარეზერვო ფონდიდან 240 მოქალაქეს - სულ 68 324 ლარი.

2) უსინათლოთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა - დახმარება გაეწია 54 მოქალაქეს 200 ლარის ოდენობით- სულ 10 800 ლარის ოდენობით.

კომისია დიდი გულისყურით გაითვალისწინებს ბიუროს წევრების შენიშვნებს და რეკომენდაციებს.

კომისიის თავმჯდომარე: **ლელა საჯაია**